

შუანოს ინტრუზივის პეტროლოგია და მასთან დაკავშირებული
მადნიანი მინერალიზაცია

ნესტან ცქიტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

საინჟინრო ფაკულტეტზე გეოლოგიაში საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

(მიმართულება - გეოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ავთანდილ ოქროსცვარიძე,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

შუანოს ინტრუზივის პეტროლოგია და მასთან დაკავშირებული მადნიანი მინერალიზაციის შესახებ ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას გეოლოგიურ, გეოტექტონიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ნაშრომში აღწერილია რაიონის გეოლოგიური შესწავლის ისტორია და ნაჩვენებია თუ როგორ ხდებოდა სამუშაოების ჩატარება, რასაც შემდგომში დაეყრდნო ის მიღებული დასკვნები, რაც აქ არის გამოყენებული. საუბარია ასევე იმ სამთო და ტექნიკურ პირობებზე რაც ამ რაიონში არის შექმნილი. ასევე მოცემულია მარაგების ანგარიში.

ნაშრომი ზოგადად მიმოიხილავს თითქმის ყველა სფეროს, რაც საჭიროა ტერიტორიაზე შეხედულების ჩამოსაყალიბებლად, როგორებიცაა: რაიონის მოკლე გეოგრაფიული, გეოლოგიური, გეოტექტონიკური დახასიათება; რაიონის გეოლოგიური შესწავლის ისტორია, მეთოდოლოგია და ძირითადი შედეგები. ასევე შევხებით ენდოგენურ მადნიან ფორმაციებს, საბადოს გეოლოგიურ აგებულებას და ჰიდროგეოლოგიას.

ინფორმაცია, რომელსაც ნაშრომში ვეყრდნობით, მოიცავს პერიოდს 1949 წლიდან დღემდე, თუმცა ვერ მოხერხდა უახლესი ინფორმაციის გამოყენება, რადგან ეს ინფორმაცია, რომელიც მიღებულია უახლესი კვლევების შედეგად, ჯერჯერობით არაა გასაჯაროებული.

The paper about petrology and ore mineralization of Shuano intrusive includes information about geology and tectonics. The paper also includes history of geologic research and methods, how this exploration was conducted. All the conclusions, which we use in this paper, relies exactly on this research. We will also talk about the mining and technical conditions, of Shuano region. Also we will review the stock report.

The paper generally highlights almost all issues, which are important to form opinion about the research region, such as: short geographic, geologic, tectonic characteristics; geologic research history, methodology and main results. Also we will speak about endogenous ore formations, about geological structure of the deposit and about hydrology of the research region.

Information, which we use in the paper, includes period from 1949 till today, though we couldn't use the most recent information, which is based on the latest research, because this information is not available to public yet.